საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№3 პერიოდული გამოცემა 2016 წ. მარტი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

მარტის ბოლოს საქართველოს პარლამენტში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ 1260 გვერდიანი ანგარიში წარვადგინე, რომელშიც გასული წლის განმავლობაში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ამსახველი დადებითი და უარყოფითი ტენდენციებია წარმოდგენილი.

საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და შინაარსობრივად მრავალფეროვანი დოკუმენტია. 34 თავი მოიცავს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ფართო სპექტრს და თავს უყრის ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებულ იმ ძირითად რეკომენდაციებს, რომელთა შესრულების დროულობასა და ხარისხზე დიდწილად იქნება დამოკიდებული ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება ქვეყანაში.

მინდა აღვნიშნო, რომ 2015 წელი მნიშვნელოვანი მოვლენებით გამოირჩეოდა საქართველოსთვის: გაეროს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საქართველო გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად აირჩიეს, რაც ახალი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩადენილი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების დაწყების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 4
3. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 5
4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 8
5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 9
   - სამოქალაქო განათლების კუთხით ჩატარებული ღონისძიებები 12
6. ცალკეული სტრუქტურული ერთეულების პერიოდული საქმიანობა 13
   - რეგიონული ოფისები 13
7. ღირსშესანიშნავი თარიღები 15
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 16
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 18

მთელი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება აგრძელებდა რეფორმებს მართლმსაჯულების სისტემასა და სამართალდამცავ სტრუქტურებში; ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად კვლავ რჩებოდა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება და მოწმეთა დაკითხვის წესის ცვლილება. თუმცა, ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევაა დასაძლევი სასამართლოსადმი ნდობის გასაზრდელად; განსაკუთრებით საგანგაშო იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოსამართლეთა დაწინაურების და დანიშვნის პროცესი. აქვე დავამატებ, რომ არაერთხელ და უშედეგოდ მივმართე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, დაეწყო დისციპლინური დევნა იმ მოსამართლეთა მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევდნენ პროცედურულ ნორმებს.

კვლავ გამოძიების რეჟიმშია წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულთა ათასობით საჩივარი; პრობლემად რჩება პოლიციასა და პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების ეფექტური გამოძიება; არ სრულდება ჩემი რეკომენდაცია სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვასთან დაკავშირებით; უცვლელია ასევე, სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების დახურვის რეკომენდაცია; შედარებით შემცირებულია პატიმართა გარდაცვალების, მათ შორის, სუიციდის შემთხვევები.

2015 წელს მწვავედ იდგა პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის საკითხი; სამწუხაროდ, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულების გამოძიების და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით, საქართველოს პროკურატურის საქმიანობა კვლავ არაეფექტურია.

გვერდს ვერ ავუვლი ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტებს. დაუსჯელობის სინდრომმა და მსგავსი დანაშაულის ფაქტებზე არაეფექტურმა გამოძიებამ გარკვეულწილად სტიმული მისცა ახალ დანაშაულს. იმედს არ ვკარგავ, რომ საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, რაც გაამკაცრებს სანქციებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისთვის.

ამ თემასთან დაკავშირებით დავამატებდი, რომ მიმდინარე წლის **28 მარტს** დავიწყეთ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია – **„წამმზომი ჩართულია“**. მოვითხოვ საქართველოს პროკურატურამ უსწრაფესად გამოიძიოს თუნდაც **ერთი კონკრეტული, 11 მარტს გახმაურებული დანაშაული** და გამოავლინოს ყველა დამნაშავე პირი, რათა სათანადო სიმკაცრით დაისჯონ.

ანგარიშის თანახმად, საზოგადოების ლეგიტიმური მოლოდინის მიუხედავად, ამ დრომდე არ შექმნილა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაინტერესებულ პირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას მისცემს, მათ შორის ქონების რესტიტუციას და მორალური ზიანის ანაზღაურებას უკანონო მსჯავრდებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

რამდენიმე აქციაზე სახელმწიფომ ვერ შეძლო კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლების უზრუნველყოფა ან გაუმართლებლად შეზღუდა შეკრების თავისუფლება. ზოგადად უზრუნველყოფილი იყო მრავალფეროვანი მედია გარემო. თუმცა, წლის ბოლოს, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ შესახებ მიმდინარე სასამართლო დავის პროცესში მწვავედ დადგა ჯანსაღი მედია გარემოს შენარჩუნებისა და სასამართლო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის საკითხები.

მწვავე პრობლემად დგას შრომის უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების არარსებობა და სამუშაო ადგილზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა საგანგაშო რიცხვი.

პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევაც; სამწუხაროდ, მიუხედავად მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან არაერთხელ გაცხადებული დაპირებისა, დღემდე არ მომხდარა ევროპის საბჭოს 2011 წლის „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის (სტამბულის კონვენცია) რატიფიცირება. გამოწვევად რჩება ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტ პირთა მიმართ და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული და ეფექტური გამოძიება.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში არსებული ხარვეზები მონიტორინგის განხორციელებაში რეალურ დაბრკოლებას გვიქმნის.

ერთ–ერთ ყველაზე მწვავე საკითხს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზება, რასაც კიდევ უფრო ართულებს მოსახლეობის დროული ინფორმირების და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დაბალი ხარისხი – მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ.

შემაშფოთებელია ბავშვთა სიკვდილიანობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, მიუწვდომელი სახელმწიფო ჯანდაცვა, ძალადობისადმი საზო-

გადოების ტოლერანტული დამოკიდებულება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მაღალმთიან რეგიონებში. პრობლემებია მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებსა და რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ პანსიონებში; კვლავ აქტუალურია არასრულწლოვან ბრალდებულთა განცალკევების საკითხი სრულწლოვანი პატიმრებისგან.

გართულებულია რელიგიის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობა; დაბალია ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

არ არსებობს უსახლკარო პირთა მონაცემთა ერთიანი ბაზა, რაც ხელს უშლის მათი რაოდენობის, საჭიროებების, მიზნობრივი დახმარებისათვის ფინანსური სახსრების განსაზღვრას; განსაკუთრებით მძიმეა მაღალმთიან რეგიონებში მაცხოვრებლთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; ირღვევა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებები; ყურადსაღებია დევნილთა განსახლება და სიცოცხლისათვის საშიშ გარემოში ცხოვრების და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ათი ათასობით ოჯახის მდგომარეობა; სავალალოა თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა მდგომარეობა; დღემდე აქტუალური განსჯის საგანია სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მესხების დაბრუნების საკითხი.

სახელმწიფოსთვის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში დამკვიდრებისა და სრულფასოვანი განვითარებისათვის ადეკვატური გარემოს შექმნა; ასევე, ხანდაზმულთა სიღარიბის, უსახლკარობისა და იზოლაციის საფრთხე.

წვევამდელთა და სამხედრო მოსამსახურეთა, ისევე როგორც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით იკვეთება რიგი პრობლემები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების გამოყენება ძირითადად დაცვის სამსახურის მიზნებისთვის ხდება, არ მიმდინარეობს მათი საბრძოლო და ფიზიკური მომზადება. შესაბამისად, აუცილებელია, სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემური დახვეწა.

მისალმებაში შევეცადე მოკლედ ამესახა ანგარიშში შესული საჭირბოროტო საკითხები; თუმცა, მარტი სხვა მოვლენებითაც იყო გამორჩეული. მიუხედავად ანგარიშზე მუშაობის დატვირთული გრაფიკისა, მაინც მრავალი შეხვედრა გავმართეთ მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რეკომენდაციები და წინადადებები გავუგზავნეთ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

მარტის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო ჩემი სიტყვით გამოსვლა ჟენევაში, **ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის შეხვედრაზე,** სადაც კონფლიქტურ და პოსტ–კონფლიქტურ სიტუაციებში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლის მნიშვნელობაზე ვისაუბრე. ხაზი გავუსვი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობას და ამ კუთხით ომბუდსმენის აპარატის საქმიანობას; მიმოვიხილე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადამიანის უფლებათა დამცველებსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებს შორის მშვიდობიანი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის მიმდინარე პროექტები.

ამ შეხვედრაზე **ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის ბიუროს სრულუფლებიან წევრად ამირჩიეს** სამი წლის ვადით; ასევე ზედიზედ მეორედ გავხდი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) საკოორდინაციო კომიტეტის (ECC) წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის ადმინისტრაციულ, მმართველობით და ფინანსურ საკითხებზე; ამასთან, ფინანსური კომიტეტის წევრიც გავხდი.

აქვე აღვნიშნავდი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე, გენერალურმა მდივანმა დები კოენერმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაახასიათა, როგორც გაერთიანების „წარმოუდგენლად აქტიური წევრი“ და ორგანიზაციის სახელით სიმბოლური საჩუქარიც გადმომცა.

საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ინსტიტუციის ასეთი აღიარება ნათელი მაჩვენებელია იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატი სწორი მიმართულებით მუშაობს ქვეყანაში დასავლური დემოკრატიული, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული და ლიბერალური ღირე-

ბულებების დამკვიდრებისთვის.

მარტის თვეში მოვიწვიე ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში **გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ქალბატონი მარტა სანტოს პაისი.** მოწვევის მიზანი იყო ბავშვთა მიმართ ძალადობის ინდივიდუალური შემთხვევებისა და უფრო ფართო, სისტემური ხასიათის დარღვევების გარემოებათა შესწავლა, სამართლებრივი შეფასება და რეაგირების ქმედითი მექანიზმების იდენტიფიცირება.

წერილში ვისაუბრე სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან პრობლემასთან ბრძოლის მეთოდების არაეფექტურობაზე, საკანონმდებლო ხარვეზებზე, ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე.

იმედი მაქვს, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან წარმატებული თანამშრომლობისა და ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, მთავრობისა და სხვა პასუხისმგებელი მხარეების რეაგირების ღონისძიებები უფრო ეფექტური გახდება.

აქვე მინდა კმაყოფილებით გამოვეხმაურო საქართველოს ხელისუფლების და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებების **შეთანხმებას პატიმართა გათავისუფლების თაობაზე პრინციპით „ყველა ყველაზე“.** ამ ნაბიჯით 18 უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი პირი გათავისუფლდა.

2014 წლიდან ინტენსიურად ვთხოვდი საქართველოს ხელისუფლებას გამოენახა გზა დაკავებულთა და პატიმართა გასათავისუფლებლად. კარგი იქნება, თუ დაწყებული დიალოგი ჩვენს შორის ნდობის აღდგენას და შემდგომ სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

იმედს გამოვთქვამ, რომ მარტის თვის საინფორმაციო ბიულეტენში ასახული სხვა უამრავი მასალაც თქვენთვის საინტერესო და ინფორმაციული იქნება.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება ადიგენში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით

2 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ადიგენში მომხდარ ფაქტს, სადაც მუსლიმებისათვის სასაფლაოს ტერიტორიის გამოყოფის საკითხის გამო ერთმანეთს ადგილობრივი ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა დაუპირისპირდა. სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა და ვითარების უკიდურესად დაიძაბა.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, გამოიყენოს ყველა გონივრული საშუალება დაძაბულობის თავიდან არიდებისა და ვითარების განმუხტვის მიზნით, ხოლო სამართალდამცავმა უწყებებმა უმოკლეს ვადაში გამოიძიონ ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი, რათა დაგვიანებული ან არაჯეროვანი რეაგირება კიდევ ერთხელ არ გახდეს ძალადობის წახალისების საფუძველი.

2.2. განცხადება დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით

21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის დღეს აღნიშნავს. 2016 წელს ამ დღესთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების კამპანია მიმდინარეობს სლოგანით: „ჩემი მეგობრები, ჩემი გარემოცვა“, რაც დღევანდელი ბავშვისა და მომავალი ზრდასრულისთვის ინკლუზიური გარემოს მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას.

ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული კამპანიების მიუხედავად, რეალობა, რომელშიც დაუნის სინდრომის მქონე პირებს უწევთ ცხოვრება, სამწუხაროდ, არ უმჯობესდება, რადგან სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამებიდან, ნაკლები მიმღეობიდან, დისკრიმინაციიდან, გარიყვიდან, სტიგმის შემცველი გარემოდან გამომდინარე, მათი შესაძლებლობები შეზღუდულია და ყოველდღიურად ექმნებათ ბარიერები საკუთარი უფლებების რეალიზების პროცესში მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებების მიღების დროს.

უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს როლი და ეფექტური ნაბიჯები აღნიშნული პრობლემების

დაძლევისთვის. აუცილებელია საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს პასუხისმგებლობა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნის, მათი ღირსებისა და უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მიმართულებით.

2.3. გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი აღდგა

25 მარტი. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის აღდგენის თაობაზე, რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში იყო შეწყვეტილი. შეთანხმება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 35-ე რაუნდზე იქნა მიღწეული.

სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილე დელეგაციებს, გამოეჩინათ მეტი მოქნილობა და გადაედგათ ქმედითი ნაბიჯები გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის აღსადგენად.

3. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

3.1. შეხვედრა უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან

7 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ნინო გვენეტაძეს შეხვდნენ. შეხვედრაზე განიხილეს სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესები, სახალხო დამცველის მხრიდან სასამართლო ხელისუფლების მიმართ დაფიქსირებული ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგები; იმსჯელეს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოების შესახებ სახალხო დამცველის ინიცირებით პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების პროექტზე.

ნინო გვენეტაძემ სახალხო დამცველს ინფორმაცია მიაწოდა იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი აქტივობების შესახებ, რომლებიც გატარდა გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებასთან დაკავშირებით; ასევე, ისაუბრა მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებზე.

განიხილეს უზენაეს სასამართლოსა და სახალხო დამცველს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და თანამშრომლობის ფორმატში მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების კუთხით მჭიდრო კონსულტაციების სამომავლო შესაძლებლობები.

3.2. საქართველოს სახალხო დამცველის ვიდეო-მიმართვა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 31-ე რეგულარულ სესიაზე

8 მარტს, ადამიანის უფლებათა საბჭოს 31–ე რეგულარული სესიის 22–ე შეხვედრაზე წამების საკითხებში სპეციალურმა მომხსენებელმა ხუან მენდესმა საქართველოს შესახებ 2015 წლის ანგარიში წარმოადგინა.

სესიაზე ასევე გადაიცა საქართველოს სახალხო დამცველის ვიდეო მიმართვა, რომელშიც უჩა ნანუაშვილმა ხაზი გაუსვა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბების მნიშვნელობას, პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ვიდეოკამერების ჩანაწერებზე წვდომის აუცილებლობასა და პენიტენციალური დაწესებულებებისთვის ეფექტიანი სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებას.

ომბუდსმენმა ზოგადი დინამიკა პოზიტიურად შეაფასა, თუმცა აღნიშნა, რომ არაერთი პრობლემატური საკითხი ქმედებებზე ორიენტირებულ რეაგირებას საჭიროებს.

3.3. შეხვედრა პარლამენტის წევრებთან დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საკითხებზე

12 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის ინიციატივით ბორჯომში შედგა შეხვედრა საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის რამდენიმე წარმომადგენელთან. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოძიების ინსტიტუციურად დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნის საჭიროებასა და მოდელებზე, ასევე განიხილეს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების თაობაზე სხვა და სხვა ქვეყნის პრაქტიკა და მოდელები.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ – რეკომენდაცია კვლავ შესასრულებელია.

3.4. სახალხო დამცველის მოადგილემ ადამიანის უფლებათა საბჭოს 31-ე სესიის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა

17 მარტს სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 31-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა, სადაც 2015 წლის ნოემბერში უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების მიღება განიხილებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს გაუსვა ხაზი. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბრალდების ფუნქციით აღჭურვილი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და ეფექტური შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობაზე; ასევე, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურებისა და წესების შემუშავებაზე. ისაუბრა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტურობის გაზრდის და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებების უზრუნველსაყოფად შეუქცევად ძალისხმევაზე.

ვიზიტის ფარგლებში, სახალხო დამცველის მოადგილე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა და საქართველოში შრომის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

3.5. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გამართული ომბუდსმენთა სამიტი

15–16 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში მონაწილეობა მიიღო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ქვეყნების ომბუდსმენთა სამიტში. ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომიტეტში გამართულ პირველ სესიაზე სახალხო დამცველის პირველმა მოადგ-

ილემ ისაუბრა საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ასევე, მოკლედ მიმოიხილა ამ მიმართულებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ეტაპები.

მეორე სესიაზე ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისთვის ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურებთან მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობას; ყურადღება გაამახვილა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებათა დიალოგის ფორმატზე და მასში სახალხო დამცველის აქტიურ მონაწილეობაზე, ასევე ისაუბრა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციისა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმების შესრულებასა და პასუხისმგებელ უწყებათშორის კომისიებში სახალხო დამცველის ოფისის მუშაობაზე.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ პოლონეთის ადამიანის უფლებათა კომისარი და ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი.

3.6. სახალხო დამცველის მოადგილე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა

21–22 მარტს საქართველოს პარლამენტში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომიტეტის გასვლით სხდომაზე სახალხო დამცველის მოადგილემ ნათია კაციტაძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული აქტივობები დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის კუთხით; აღნიშნა, რომ ამ საკითხების შესწავლისა და მონიტორინგის შედეგებს სახალხო დამცველი ყოველწლიურ საპარლამენტო და სპეციალურ ანგარიშებში მიმოიხილავს, საქართველოს მთავრობის მიმართ შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ნათია კაციტაძემ ხაზი გაუსვა იმ დადებით ტენდენციებს, რაც შეინიშნება სახელმწიფო პოლიტიკაში დევნილთა და ლტოლვილთა პრობლემების მოგვარების მხრივ, თუმცა აღნიშნა, რომ ხარვეზები და გამოწვევები კვლავ რჩება და სახალხო დამცველის აპარატი მუშაობს აღნიშნული საკითხების შესწავლაზე.

3.7. საქართველოს სახალხო დამცველი ევროპის პარლამენტის დელეგაციას შეხვდა

30 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე შეხვდნენ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ევროპის პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელს, სახალხო პარტიის წევრს პაველ სვობოდას და დელეგაციის წევრებს ჰეიდი ჰაუტალას, მანგუს ნორდანსკოგს, ფრანცისკო რუიზ–რისუენოსა და ფრანჩესკა მელტრამენს. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე, სამართალდამცავ ორგანოებში და პენიტენციურ სისტემაში არსებული გამოწვევებზე.

სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას, ასევე ანტიდისკრიმინაციული კანონის იმპლემენტაციის და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოძიების საკითხებს; მიმოიხილა ევროპის პარლამენტის წევრებთან ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობა.

4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. წინადადება 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციისა და შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა შემუშავდეს სპეციალური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოში 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების მიზნით. სახალხო დამცველი მოითხოვს ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებების ხელმისაწვდომობისა და ხარისხიანის გაუმჯობესებას, ძნელად მისასვლელი და მაღალმთიანი რაიონებისთვის ვერტმფრენის გამოყოფას; კერძო და საჯარო სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით ერთიანი რეგულაციის შემუშავებას; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვას; ორსულთა პატრონაჟის სისტემის განვითარებას; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; პაციენტის სამედიცინო ისტორიის დამუშავებისა და შენახვის მიზნით, ერთიანი ელექტრონული ბაზის დანერგვას.

საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ჩვილ ბავშვთა სიცოცხლის დაცვისა და ეფექტიანი იმპლემენტაციის აღსრულების სიტემის მაღალი პროფესიული სტანდარტით ფუნქციონირება და ამ სისტემაში მომუშავე პირების სათანადო კვალიფიკაცია.

***** საკითხთან დაკავშირებით **1 მარტს** სახალხო დამცველმა ბრიფინგი გამართა.

4.2. დისკრიმინაცია სქესის, ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის ნიშნით

2 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს „ელიტ-სერვისს“, რომ თავი შეიკავოს დისკრიმინაციული შინაარსის მქონე განცხადებების გამოქვეყნებისაგან, საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით და უზრუნველყოს სამუშაოზე ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობა ნებისმიერი პირის მიერ.

შპს „ელიტ სერვისმა“ გამოაქვეყნა განცხადება ვაკანსიის შესახებ, რომელშიც მიუთითებდა, რომ ესაჭიროება „დასაოჯახებელი“, „სრულიად უკომპლექსო 16-დან 25 წლამდე გოგონა“ მდივნის პოზიციაზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ვაკანსიის აღწერილობაში მითითებული მოთხოვნები არ გამომდინარეობს მოცემული სამუშაოს არსიდან; დამსაქმებელს განცხადებაში ყურადღება უნდა გაემახვილებინა არა კანდიდატის სქესზე, ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობაზე, არამედ მდივნის პოზიციისთვის საჭირო მოთხოვნებზე და ინდივიდუალურად შეეფასებინა თითოეული კანდიდატის უნარების შესაბამისობა.

4.3. წინადადება მთავარ პროკურორს

2 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ვ.ჯ.-ს მიმართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის და სხვა შესაძლო კანონდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

ვ.ჯ.-ს განმარტებით, პოლიციის თანამშრომელმა მას ქუჩაში მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც პოლიციის ავტომანქანაშიც გაგრძელდა, ხოლო სუფსის პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, როგორც სავარაუდო დაზარალებული აღნიშნავს, იგი განყოფილების უფროსმა წააქცია და წაქცეულს დაახლოებით ხუთი პოლიციელი ურტყამდა. შემდეგ დაადეს ხელბორკილი, გადაიყვანეს ე.წ. განყოფილების მოსასვენებელ ოთახში, სადაც ასევე, წაქცეულ მდგომარეობაში ცემდნენ ხუთი წუთი.

შესწავლილი მასალების თანახმად, ვ.ჯ.-ს დაკავებას საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა. სამართალდარღვევა კვალიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრის დროს ვ.ჯ.-ს სახის, ქვედა კიდურების და გულმკერდის მიდამოებში აღენიშნებოდა დაზიანებები, რაც შეუსაბამო და არაპროპორციულია ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის შესაძლო დაზიანებებთან და საჭიროებს დამაჯერებელ განმარტებას მათი წარმომავლობის შესახებ.

*** 28 მარტს** საქართველოს პროკურატურიდან სახალხო დამცველს შეატყობინეს, რომ საქმეზე გამოძიება უფლებამოსილების გადამეტების მუხლით დაიწყო.

4.4. წინადადება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით

14 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა საქართველოს პარლამენტს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი პირველი მოსმენით სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე მიიღო და სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას და პარლამენტს მოუწოდა მეორე მოსმენით განხილვისას აუცილებლად გაითვალისწინოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პრინციპიდან გამომდინარე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოსაზრებები.

კერძოდ: 1. ადრეულ ასაკში სწავლების სისტემაში ბავშვების ჩართულობის გაფართოება და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების გზით; 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავოს ადრეული და სკოლამდელი განათლების და აღმზრდელ პედაგოგების პროფესიული სტანდარტი და ასევე განახორციელოს ამ სტანდარტის იმპლემენტაციის სისტემურ მონიტორინგი. ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს შენობა–ნაგებობების, ინფრასტრუქტურის და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ტექნიკური რეგლამენტი და განახორციელოს ტექნიკური რეგლამენტის დანერგვის ხარისხის შესრულების მონიტორინგი. 3. კანონის ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2016 წლის სექტემბერი, ნაცვლად 2017 წლის სექტემბრისა; 4. გადაიხედოს აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების მოცულობა და აღმზრდელ–პედაგოგების პროპორციული თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან.

5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე ქვემო ქართლის რეგიონის საჯარო სკოლებში შეხვედრები მოეწყო

მარტის თვეში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ორგანიზებით, ქვემო ქართლის რეგიონის (მარნეული, ბოლნისი, წალკა, დმანისი და გარდაბანი) საჯარო სკოლებში ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე ხუთი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრისას მოსწავლეებმა შეიტყვეს ადრეულ ასაკში ქორწინების როგორც კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, გაეცნენ სამართლებრივ რეგულირებას და არსებულ სერვისებს.

შეხვედრები ორგანიზებული იყო პროექტის „გოგონების უფლებები და ადრეული ქორწინების პრევენცია“ ფარგლებში, რომელიც ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.

5.2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებების დაცვის მდგომარეობას აკვირდებოდა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები **6 მარტს** თბილისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილ აქციას დააკვირდნენ და მონიტორინგი გაუწიეს შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების დაცვას.

სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების სრულფასოვან განხორციელებას, დაიცვას მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები ნებისმიერი პიროვნებისგან ან ჯგუფისგან, რომელიც შეეცდება აქციისთვის ხელის შეშლას.

აქციამ მშვიდობიან გარემოში ჩაიარა.

5.3. ხმელთაშუაზღვის ომბუდსმენთა ასოციაციის შეხვედრა

9-10 მარტს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაკა სტივენსონმა მონაწილეობა მიიღო მალტაში, ხმელთაშუაზღვის ომბუდსმენთა ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაში. ღონისძიებაზე ისაუბრეს ომბუდსმენის როლზე პოლიტიკური და ეკონიმიკური კრიზისების, ტერორიზმისა და არალეგალური მიგრაციის დროს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს.

ხმელთაშუაზღვის ომბუდსმენთა ასოციაციაში 31 ქვეყანაა გაერთიანებული. ორგანიზაცია 2008 წელს შეიქმნა და მისი მიზანია რეგიონში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და სოციალური მშვიდობის ხელშეწყობა.

5.4. პრევენციის ეროვნული მექანიზმმა მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივ ოპერაციას მონიტორინგი გაუწია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა **10 მარტს** მესამედ განახორ-

ციელეს მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი. მგზავრობამ მშვიდ გარემოში ჩაიარა და დაბრუნების ოპერაციის მიმდინარეობისას დეპორტირებული პირების უფლები არ დარღვეულა.

გერმანიის, ესპანეთის, ბელგიის, შვეიცარიის, საბერძნეთისა და უნგრეთის სასაზღვრო პოლიციამ საქართველოს 44 დეპორტირებული მოქალაქე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტს დიუსელდორფისა და ათენის აეროპორტებში – თვითმფრინავის ბორტზე გადასცეს.

დეპორტაციას კოორდინირებას ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი“ უწევდა.

5.5. საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ფოტოგამოფენის „დაკარგული სიყმაწვილე“ გახსნას დაესწრო

11 მარტს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ორგანიზებით დარო სულაკაურის ფოტოგამოფენა „დაკარგული სიყმაწვილე“ გაიმართა, რომელსაც საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე დაესწრო. მისასალმებელ სიტყვაში პაატა ბელთაძემ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემისადმი ხილვადობის გაზრდის დიდ მნიშვნელობაზე, ასევე საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და მასშტაბებზე ისაუბრა.

ფოტოგამოფენის მიზანი იყო ადრეული ქორწინების საკითხის აქტუალობას ხაზგასმა და ქორწინებაში მყოფი მოზარდების ფოტოების საშუალებით საქართველოში არსებული ადრეულ ქორწინების პრაქტიკის სამწუხარო რეალობის წარმოჩენა.

5.6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენების შესახებ

სახალხო დამცველი ყურადღებით აკვირდებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე აქციებს და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს. სამწუხაროა, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ძალადობის ფაქტებს, ხოლო პოლიციამ და თსუ–ს დაცვის სამსახურმა ვერ მოახერხეს ერთი მხრივ, ამ ფაქტების თავიდან არიდება და მეორე მხრივ, მათზე ეფექტური რეაგირება.

14 მარტს უნივერსიტეტის I კორპუსის შენობაში დაფიქსირდა ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის 3 შემთხვევა; ასევე, ცნობილი გახდა ერთი სტუდენტის ცემის შესახებაც. აქციის მონაწილეები პოლიციელთა უმოქმედობასა და არაეფექტურ საქმიანობაზე მიუთითებდნენ.

სახალხო დამცველმა მიმართა შესაბამის უწყებებს, მიიღონ სათანადო ზომები. გამოძიების ფარგლებში გამოსარკვევია პოლიციელთა და თსუ–ს დაცვის სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების საკითხი. მოუწოდა აქციის მონაწილეებს, თავი შეიკავონ ძალადობისაგან და არ დაუშვან მისი პროვოცირება.

15 მარტს კვლავ გამოიკვეთა თსუ–ს დაცვის სამსახურისა და პოლიციის არაეფექტურობა. პოლიციამ და დაცვის სამსახურმა ვერ შეძლეს თსუ–ს თვითმმართველობის მომხრე სტუდენტების შეჩერება, რომლებიც ძალადობით შეიჭრნენ უნივერსიტეტის შენობასა და რექტორის კაბინეტში.

ბუნდოვანია შენობაში შესვლა–გამოსვლის რეჟიმი. პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაცია უნივერსიტეტში სხვადასხვა ჯგუფების შემოსვლის შესახებ მაშინ, როდესაც აუდიტორია 115–ის სტუდენტებს უარს ეუბნებოდნენ სტუდენტების ჩანაცვლებაზე, რაც ქმნიდა მათი შეკრების თავისუფლების შეზღუდვის რისკებს.

სახალხო დამცველმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, იმოქმედოს მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის შესაბამისად, აქციის მონაწილეთა უფლებების სრული დაცვით.

მისასალმებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მზაობა სტუდენტების მოთხოვნის საპასუხოდ დაიწყოს მუშაობა თვითმმართველობისა და ზოგადად, უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმაზე, ასევე, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ე.წ. „ოდეერების“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე რეაგირების მიმართულებით.

5.7. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მცხეთა–მთიანეთის რეგიონიდან სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ

18 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე სხილაძე მცხეთა–მთიანეთის რეგიონის სოფლების: ერედის, ქვეშეთისა და ანანურის სკოლის მოსწავლეებს შეხვდა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა გააცნო; ყურადღება გაამახვილა ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

განიხილეს ადრეულ ასაკში ქორწინების გამომ-

წვევი მიზეზები და შედეგები, ასევე სამართლებრივი რეგულირება. მოსწავლეების განსაკუთრებული ინტერესი სერვისის მიწოდებაზე პასუხისმგებელი ორგანოების როლმა გამოიწვია. შეკითხვები დაისვა მასწავლებლების, პოლიციისა და საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის მიმართულებებით. მოსწავლეებმა საჩუქრად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მომზადებული საინფორმაციო ბროშურები და პუბლიკაციები მიიღეს.

სასწავლო ვიზიტი ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მცხეთა–მთიანეთის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო.

5.8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაითვალისწინა

18 მარტი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები მოქალაქის კომპენსაციით უზრუნველყოფის თაობაზე.

შიდა ქართლის გამყოფი ხაზის პირა სოფელ ზარდიაანთკარის მაცხოვრებლის ტ.თ.–ს სახლი 2008 წლის ომის დროს საგრძნობლად დაზიანდა. 2012 წელს სოფელზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლის აღდგენის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მის სახლთან პოლიციის საგუშაგო განათავსა, ხოლო სახლი საგუშაგოს პირადი შემადგენლობისათვის იქირავა. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ტ.თ.-ს სახლი საცხოვრებლად უვარგისი დახვდა. სახლის მდგომარეობის, ასევე პოლიციის საგუშაგოსთან სიახლოვის გამო, ტ.თ. და მისი მეუღლე სახლში დაბრუნებას ვერ ახერხებენ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს მოქალაქეს ალტერნატიული საცხოვრებლით ან შესაბამისი ფულადი ანაზღაურებით უზრუნველყოფა, მანამ სანამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგო განთავსებულია განმცხადებლის სახლის მომიჯნავედ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახალხო დამცველის აპარატს შეატყობინა, რომ არ მიიჩნევს პოლიციის საგუშაგოს სამხედრო ობიექტად, ხოლო „საცხოვრებელი სახლის დაზიანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან დამოუკიდებელი მიზეზების შედეგად“ მოხდა.

სახალხო დამცველმა მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთხელ განიხილოს აღნიშნული საკითხი და უზრუნველყოს ტ.თ.-ს სათანადო საცხოვრებლის უფლების დაცვა.

5.9. საჯარო დისკუსია „რა პასუხი აქვს სახელმწიფოს ქალთა მიმართ ძალადობაზე“

21 მარტს ქალთა ისტორიის თვის აღსანიშნავად საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ორგანიზებით ჩატარდა საჯარო დისკუსია „რა პასუხი აქვს სახელმწიფოს ქალთა მიმართ ძალადობაზე. დისკუსიაზე მოხსენებით გამოსულმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სხილაძემ ისაუბრა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ; ხაზი გაუსვა ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) შემთხვევებს; წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები.

5.10. აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის წარმომადგენლები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ესტუმრნენ

24 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არასამთავრობო ორგანიზაციის „აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“ და მასთან არსებული გოგონათა კლუბის წარმომადგენლები ესტუმრნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე და გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები.

სტუმრებს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა გააცნეს. საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ ისაუბრა გენდერული თანასწორობის სფეროში არსებულ გამოწვევებზე; ქალთა მიმართ ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე. აღინიშნა, რომ სწორედ მომავალ თაობებსა და მათ აქტიურობაზეა დამოკიდებული პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა და არსებული მდგომარეობის შეცვლა.

შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სხილაძემ და მთავარმა სპეციალისტმა ანა ლობჟანიძემ დეტალურად გააცნეს დეპარტამენტის მიზნები და საქმიანობის ძირითად მიმართულებები.

5.11. საჯარო დებატები: ადრეულ ასაკში ქორწინება – გამოწვევები და გადაჭრის გზები

25 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა მორიგი საჯარო დებატები გამართა თემაზე – „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები". საჯარო დებატების მიზანს წარმოადგენდა ღია დისკუსიის ორგანიზება საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე არსებული მდგომარეობის და გამოწვევების შესახებ, ასევე, სამომავლო გზების დასახვა არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. ღონისძიებას მოდერაცია გაუწია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლელა ბაქრაძემ.

დებატებზე საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია აპარატის საქმიანობის ერთ–ერთი მთავარი მიმართულებაა; ისაუბრა ნიშნობისა და იძულებითი ქორწინების გავრცელებულ შემთხვევებზე, საზოგადოების მცდარ შეხედულებებსა და არაინფორმირებულობაზე, სერვისების მიწოდების ხარვეზებზე და არაეფექტური რეაგირებაზე. დიდი ბრიტანეთის ელჩის მოადგილემ საქართველოში ტიფანი სედლერმა ისაუბრა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე გამოცემული სპეციალური ანგარიშის მნიშვნელობაზე, რომელიც ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით მომზადდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა ადრეული ქორწინების პრევენციის და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების სფეროში საგანმანათლებლო დაწესებულებების როლზე ისაუბრა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ნინო ბერძულმა სოციალური მუშაკების როლსა და ჩართულობაზე იმსჯელა; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ ყურადღება გაამახვილა სამართალდამცავთა გააქტიურებულ და ეფექტიან რეაგირებაზე, მიმოიხილა სტატისტიკური მონაცემები და გამოაცხადა სამინისტროს მზაობა უფრო მეტი ცვლილების განსახორციელებლად; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სხილაძემ წარმოადგინა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის – „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები" ძირითადი მიგნებები; სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელსა და კანონმდებლობის აღსრულების ძირითად საკითხებზე იმსჯელა საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსმა მაია კვირიკაშვილმა.

დისკუსიაზე დამსწრე მასწავლებლებმა და ბოლნისის, მარნეულისა და დმანისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს ქვემო ქართლის რეგიონში არსებულ პრობლემებს და კონკრეტული შემთხვევების შესახებ ისაუბრეს.

ღონისძიება ჩატარდა ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" და ბრიტანეთის საელჩოს პროექტის „გოგონების უფლებების დაცვა და ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია" ფარგლებში.

სამოქალაქო განათლების კუთხით ჩატარებული ღონისძიებები

5.12. ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი ჟურნალისტებისათვის

29 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ თბილისის და რეგიონული მედიასაშუალებების 20 დამწყებ ჟურნალისტს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე „გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა".

საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ აკადემიის მონაწილეებთან გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესში, ასევე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და თანასწორუფლებიანობის იდეის დამკვიდრების საკითხებში მედიასაშუალებების უმნიშვნელოვანეს როლზე ისაუბრა.

სატრენინგო კურსი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ძირითად საკითხებზე. მონაწილეები გაეცნენ მგრძნობიარე გენდერული საკითხების გაშუქების სტანდარტებს ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაში; გაიღრმავეს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ ცოდნა.

5.13. ტრენინგი სტუდენტებისთვის დევნილთა სამართალში

17-18 მარტს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პროექტის ფარგლებში, სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი „დევნილთა სამართალში“, სადაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ნინო სულამანიძემ, ნინო შალამბერიძემ და თამთა პაპუაშვილმა მონაწილეებს გააცნეს სახალხო დამცველის საქმიანობა იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, განიხილეს ეკომიგრანტთა პრობლემები საქართველოში.

პროექტი „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად“ - დაფინანსებულია საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ.

5.14. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი პროკურატურის თანამშრომლებისთვის

21 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ თბილისის და რეგიონული პროკურატურის 42 პროკურორს და გამომძიებელს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება“.

ღონისძიება მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების გზებზე. მონაწილეები გაეცნენ შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინდიკატორებს, საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს, ქართული კანონმდებლობის გამოყენების გზებს.

ტრენინგს გაუძღვნენ საერთაშორისო ექსპერტები ალეშ ჰანეკი და ტომე შეკერძიევი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ლევან მესხორაძე და მაკა სტივენსონი.

ტრენინგი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

6. ცალკეული სტრუქტურული ერთეულების პერიოდული საქმიანობა

რეგიონული ოფისები

6.1. შეხვედრა ქვემო ქართლის გუბერნატორსა და გამგებლებთან

2 მარტს შედგა სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის თანამშრომლები რუსთავში, გუბერნატორის ოფისში ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების - რუსთავის, მარნეულის, წალკის, თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისისა და გარდაბნის თვითმმართველობის ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე თვითმმართველობის ხელმძღვანელებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდეს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის განახლებული შემადგენლობის შესახებ; მოკლედ მიმოიხილეს სახალხო დამცველის მანდატი და ოფისის მიმდინარე საქმიანობა.

6.2. ქალთა უფლებების შესახებ საუბარი ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის წევრებთან

7 მარტს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა მადონა ბასილაძემ ქალთა უფლებების თემაზე ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის წევრებისთვის შეხვედრა გამართა. განიხილეს ქალის უფლებები, ქალთა მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შეცვლის საჭიროებები და გზები, ქალთა უფლებების დაცვის, არადისკრიმინაციული კულტურის დანერგვისა და გენდერული თანასწორობის საკითხები.

6.3. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ოფისს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ

9 მარტს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს ოფისს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის ოფისის თანამშრომლები ეწვივნენ და სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს წარმოებაში არსებული საქმეების, სამომავლო გეგმებისა და პროექტების შესახებ ინფორმაცია მიიღეს.

6.4. რეგიონული დეპარტამენტის უფროსმა ჟურნალისტების რეგიონული სამმართველოების ახალი ხელმძღვანელები წარუდგინა

10 და 11 მარტს სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის უფროსმა თემურ ქორიძემ ზუგდიდსა და ბათუმში პრესკონფერენციები გამართა და რეგიონული მედიის წარმომადგენლებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხორციელებული ცვლილებები გააცნო; ასევე წარუდგინა კონკურსის წესით შერჩეული რეგიონული სამმართველოების ახალი უფროსები.

ომბუდსმენის აპარატში 2016 წლიდან რეგიონული სამმართველოს ნაცვლად შეიქმნა რეგიონული დეპარტამენტი. ასევე ჩამოყალიბდა აჭარის, იმერეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოები. ცვლილებების განხორციელება იგეგმება გურიის, ახალქალაქის, კახეთის, მარნეულისა და გორის ოფისებში. სამმართველოების შექმნა მიზნად ისახავს რეგიონული ოფისების გაძლიერებას და ფუნქციურ დატვირთვას. ცვლილების შედეგად, სახალხო დამცველის წარმომადგენლობებს შემოსული ინდივიდუალური განცხადებების ადგილზე განხილვის უფლება–მოსილება ეძლევათ.

10 მარტს ზუგდიდში გამართულ პრესკონფერენციაზე რეგიონული დეპარტამენტის უფროსმა ჟურნალისტებს სახალხო დამცველის სამეგრელო ზემო–სვანეთის სამმართველოს უფროსი ლევან პაპავა წარუდგინა.

11 მარტს ბათუმში თეიმურაზ ქორიძემ სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი ციალა ქათამიძე წარადგინა.

პრესკონფერენციაზე აჭარის რეგიონის სამმართველოს უფროსმა ოფისის სამომავლო საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება, სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებსაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ოფისი გააგრძელებს მიმდინარე თემებზე მუშაობას - პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგს, სოციალური თემატიკის შესწავლას, ინდივიდუალური საჩივრების განხილვას და, რაც მთავარია, ადამიანის უფლებების კუთხით არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, არასამთავრობო სექტორთან, ჟურნალისტებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.

6.5. მცოცავი ანექსია გორის მუნიციპალიტეტში

15 მარტს სახალხო დამცველის გორის ოფისის თანამშრომლები იმყოფებოდნენ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯარიაშენში, რათა ადგილზე გაცნობოდნენ სოფლის განაპირას ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული შეიარაღებული პირების მიერ გზის გაყვანის საკითხს.

წარმომადგენლებს ადგილზე დახვდათ მოჭრილი ხილის ხეები. ახლად გაყვანილი გზის მონაკვეთი, რის გამოც ამ ეტაპზე 31 ოჯახი ვეღარ სარგებლობს საკუთარი ბაღით, თუმცა აღნიშნული ოჯახების რიცხვი შესაძლებელია გაიზარდოს გზის გაყვანის პროცესის დასრულების შემდგომაც.

აღსანიშნავია, რომ გზის გაყვანა ხდება სოფლის განაპირას, სადაც დღემდე არ მომხდარა საზღვრის დემარკაცია, თუმცა ამ ტერიტორიაზე ადრეც ხდებოდა მოსახლეობის დაკავებას ე. წ საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით.

6.6. შეხვედრა UNICEF-ის ბავშვთა დაცვის პროგრამების ხელმძღვანელთან

16 მარტს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის უფროსი თეიმურაზ ქორიძე გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროგრამების ხელმძღვანელს პიერ ფერის შეხვდა და რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა, ასევე რეგიონული ოფისების საჭიროებები განიხილა. შეთანხმდნენ თანამშრომლობის ფარგლებში სხვადასხვა ერთობლივ ღონისძიებებთან ერთად მოეწყოს ტრენინგები ბავშვთა უფლებების საკითხებზე.

მარტის თვეში პიერ ფერიმ სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს, აჭარის სამმართველოსა და ახალქალაქის რეგიონული ოფისები მოინახულა. **7 მარტს** სახალხო დამცველის წარმომადგენელს მადონა ბასილაძეს შეხვდა და პენიტენციური დეპარტამენტის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაზე ისაუბრა.

6.7. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საანგარიშო სხდომას დაესწრო

16 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, სახალხო დამცველის აპარატის სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა ლევან პაპავამ განაცხადა, რომ არც ზუგდიდის საკრებულოს და არც ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ბოლომდე დაცული არ აქვს საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი. ასევე, დადგენილი არ არის თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთ მნიშვნელოვანი გარანტია, როგორიც „თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული სპეციალური ფორმა - პეტიციაა.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს სახალხო დამცველის წარმომადგენლის რჩევებს და პეტიციასთან ერთად, საკრებულოს ვებ–გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნდება საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელი სხვა საჯარო ინფორმაციაც.

6.8. გურიაში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე იზრუნებენ

25 მარტს სახალხო დამცველის საკონტაქტო პირი გურიაში მაკა მალაყმაძე გურიის გუბერნატორს გია სალუქვაძეს შეხვდა და შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის არაადაპტირებული გარემოს შესახებ ესაუბრა. გურიის გუბერნატორი ეთანხმება ამ მხრივ რეგიონში არსებულ პრობლემებს და აღნიშნა, რომ პანდუსების სტანდარტულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლასა და არაადაპტირებული სახელმწიფო შენობებისთვის პანდუსების მიშენებას გეგმავს.

7. ღირსშესანიშნავი თარიღები

7.1. დედის დღე

3 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა სრულიად საქართველოს დედის დღე მიულოცა. განცხადებაში უჩა ნანუაშვილმა მომავალი თაობების აღზრდა–განვითარებაში დედების განუზომელ წვლილზე და ამ საქმეში სახელმწიფოს თანაბარ პასუხისმგებლობაზე ისაუბრა.

სახელმწიფოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მშობლების საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების არარსებობა განაპირობებს ქალის როლის მხოლოდ რეპროდუქციულ ფუნქციამდე დაყვანას, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ქალთა მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრობლემების აღმოფხვრის ხელშეწყობისათვის, სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას დაიწყოს შესაბამისი პროცედურები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე დედობის დაცვის კონვენციის რატიფიცირების მიზნით.

7.2. ქალთა საერთაშორისო დღე

8 მარტს სახალხო დამცველმა საქართველოს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს დღე უპირველეს ყოვლისა უკავშირდება ქალთა შრომითი უფლებების დაცვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ძალადობის აღმოფხვრისაკენ ბრძოლის საკითხებს.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქალთა შრომითი უფლებების დაცვა და შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაციის აკრძალვა. ასევე, თვალსაჩინოა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიმართულებით არსებული უთანასწორობა. ერთი მხრივ, საზოგადოებაში არსებული მცდარი შეხედულებები, ხოლო მეორე მხრივ, სპეციალური ღონისძიებების სიმცირე, ხილულ და უხილავ ბარიერებს ქმნის ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია, კვოტირების სისტემის დამკვიდრება, ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესება, ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

7.3. კლოჩე სარე სალი – იეზიდური ახალი წლის დღესასწაული

16 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა იეზიდ თანამოქალაქეებს კლოჩე სარე სალის დღესასწაული მიულოცა და მათ მშვიდობიანი, უხვი და ბედნიერი წელიწადი უსურვა. იეზიდებისათვის ეს დღე განახლების, გაზაფხულის, ახალი სიცოცხლის, ახალი წლის დაწყების სიმბოლოა. ტრადიციულად ამ დღისათვის საახალწლო ნამცხვარი კლოჩი ცხვება.

7.1. 21 მარტი – დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე ბათუმში

21 მარტს სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსმა ციალა ქათამიძემ ბათუმში, „ამერიკულ კუთხეში“, სკოლა „იმედის“ მოსწავლეების მიერ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

მოსწავლეებმა ისაუბრეს დაუნის სინდრომზე, მის მახასიათებლებზე, საზოგადოებაში არსებულ მითებსა და რეალობაზე, სტერეოტიპებზე. წარმოადგინეს თავისი გადაღებული ვიდეო–რგოლები.

შეხვედრაზე სახალხო დამცველის აჭარის სამმართველო და სკოლა „იმედი" ადამიანის უფლებათა საკითხებზე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების კუთხით სამომავლოდ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

7.2. ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული

21 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს ნოვრუზ ბაირამის - გაზაფხულის შემოსვლის, დღისა და ღამის გათანასწორების, დედამიწის გამოცოცხლების - დღესასწაული მიულოცა და სიკეთე და ჯანმრთელობა უსურვა.

7.3. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი, კათოლიკე და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიების აღდგომის დღესასწაული

27 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის, კათოლიკე, ევანგელურ-ლუთერული და სხვა დასავლური კალენდრის მიმდევარი ეკლესიების მრევლს აღდგომის წმინდა დღესასწაული მიულოცა და მხნეობა, კეთილდღეობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება უსურვა.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. „საქართველოს საარჩევნო კოდექსში" განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით

14 მარტს ვენეციის კომისიამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისთან ერთად (OSCE/ODIHR), გამოაქვეყნა ერთობლივი დასკვნა „საქართველოს სარჩევნო კოდექსში" განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. OSCE/ODIHR–ის და ვენეციის კომისიის ექსპერტებისგან შემდგარი დელეგაცია საქართველოს სამუშაო ვიზიტით 2016 წლის თებერვალს ეწვია.

დასკვნაში დადებითად არის შეფასებული საარჩევნო კოდექსში 2015 წლის 23 და 24 დეკემბერს შეტანილი ცვლილებები – ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების საზღვრების ხელახლა დაყოფასა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების ბარიერის შესახებ. მისასალმებელია, რომ ცვლილებები მეტწილად OSCE/ODIHR-ის და ვენეციის კომისიის არსებული რეკომენდაციების შესაბამისად გადაიჭრა.

მიუხედავად ამისა, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, უმჯობესია საარჩევნო კოდექსი გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ახალი ნორმების ეფექტიანობა და ეუთოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. კერძოდ, საარჩევნო კოდექსი არ განსაზღვრავს საზღვრების დადგენის კონკრეტულ მეთოდს, არ აზუსტებს ამომრჩეველთა რაოდენობების საშუალო მაჩვენებლიდან გადახრის კრიტერიუმებს და არ მოიცავს მომავალში საზღვრების გადახედვის საკითხებს.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ თბილისში ექსპერტების სამუშაო ვიზიტისას, დაინტერესებული მხარეები უკმაყოფილო იყვნენ საზღვრების დაყოფის პროცესის საწყისი ეტაპის გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის და ფართო ჩართულობის ნაკლებობის გამო. ასევე, კონსულტაციების გვიან ეტაპებზე არჩევნებთან დაკავშირებული მხარეები ნაკლებად იყვნენ ჩართული, რამაც შემდგომში ზიანი მიაყენა პროცესის ინკლუზიურობას.

აგრეთვე, კანონმდებლობით მაჟორიტარული ოლქების აბსოლუტური უმრავლესობა უკვე განსაზღვრულია და მითითებულია თითოეულ მათგანში რამდენი ამომრჩეველია; თუმცა, ჯერ კიდევ დაუდგენელია თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და ბათუმის საარჩევნო ოლქების საზღვრები. OSCE/ODIHR-ის და ვენეციის კომისიის აზრით, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ძალიან მცირე დრო რჩება საზღვრების დაყოფის პროცესის დასრულებისა და მიღებული ცვლილებების შესახებ ყველა პოტენციური მონაწილესა და ამომრჩეველის სათანადოდ ინფორმირებისთვის.

OSCE/ODIHR–ისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, 1. კანონით უნდა განისაზღვროს საარჩევნო ოლქების დაყოფის მეთოდი ისევე, როგორც მომავალში საზღვრების გადახედვის ზუსტი პერიოდი. ამასთან, კანონით უნდა განისაზღვროს საარჩევნო ოლქებს შორის მაქსიმალური შესაძლო გადახრის ზუსტი მაჩვენებელი და ნები-

სმიერი გამონაკლისი შემთხვევის საფუძველი. 2. აუცილებელია საარჩევნო ოლქების საზღვრების განსაზღვრის პროცესისადმი საზოგადოებრივი ნდობის გაზრდის მიზნით, მთავრობამ უზრუნველყოს მრავალმხრივი კონსულტაციები, საერთაშორისო ვალდებულებების, სტანდარტებისა და საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით. აღნიშნული თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს დროებითი ან მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი კომისიის შექმნას, რომელსაც დაევალება საარჩევნო ოლქების საზღვრების დაყოფა.

8.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება აზერბაიჯანის წინააღმდეგ

17 მარტს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე რასულ ჯაფაროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რიგი მუხლების დარღვევა დაადგინა და ხელისუფლებას მომჩივნის მიმართ 32 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

ცნობილი ადამიანის უფლებათა დამცველი რასულ ჯაფაროვი 2014 წლის ივლისს მოწმის სახით დაკითხეს აზერბაიჯანის გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ ფინანსურ დარღვევებს ეხებოდა. ის მალევე, 2014 წლის აგვისტოს დააკავეს. პროკურატურამ ჯაფაროვს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით წარუდგინა – არაკანონიერი მეწარმეობა, გადასახადებისთვის თავის არიდება, თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ბაქოს სასამართლომ 2015 წლის აპრილში ჯაფაროვს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. Amnesty International-მა ჯაფაროვი „სინდისის პატიმრად“ ცნო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობდა გაეჩუმებინა და უფლებადაცვითი საქმიანობისთვის დაესაჯა ჯაფაროვი. კერძოდ, იგი დააკავეს და დააპატიმრეს იმ პერიოდში, როდესაც აზერბაიჯანში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე განსაკუთრებით მკაცრი და შემზღუდველი საკანონმდებლო რეგულაციების შემოიღეს, ხოლო მედიაში გახშირდა მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები და სხვადასხვა სტატიები, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათ ლიდერებს, მათ შორის ჯაფაროვს, მოღალატეობასა და უცხოეთის აგენტობას აბრალებდნენ. ამავე პერიოდში, დააკავეს და დააპატიმრეს არაერთი გამოჩენილი ადამიანის უფლებათა დამცველი, რომლებიც ასევე თანამშრომლობდნენ ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სასამართლომ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება), მე–5 მუხლის მე–4 პუნქტის (დაკავების კანონიერების სწრაფი სასამართლო განხილვის უფლება) და ამავე მუხლთან მიმართებით მე–18 მუხლის (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) დარღვევა დაადგინა. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა კონვენციის 34–ე (ინდივიდუალური განაცხადის უფლება) მუხლის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები.

საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღეს, 17 მარტს **პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა რასულ ჯაფაროვი სხვა პატიმრებთან ერთად შეიწყალა.** 148 შეწყალებულს შორის 13 ჟურნალისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი და სამოქალაქო აქტივისტი იყო, რომლებიც სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებების გამო.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. ახალი თანამშრომლები

7 მარტიდან პროექტში „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“ გუნდის ხელმღვანელის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო **ლევან მესხორაძემ**.

20 მარტიდან სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტში, კონკურსის საფუძველზე უფროს სამართლებრივ ექსპერტად საბა ფიფია შეირჩა.

9.2. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად სისხლი გაიღეს

18 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე აქციაში – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“.

აქციაში 18 დონორი ჩაერთო, თუმცა სახალხო დამცველის აპარატი ამ საჭირო და კეთილშობილურ პროცესში აქტიურ მონაწილეობას მომავალშიც აპირებს.

9.3. მომართვიანობის სტატისტიკა

მარტის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 814 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 669 განცხადება სამსახურების მიხედვით

შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 1
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 52
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 268
- რეგიონული სამმართველო — 259
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 26
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 5
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 19
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 10
- თანასწორობის დეპარტამენტი — 22
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 7



განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- პატიმართა უფლებები — 255
- მოხელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება — 8
- სამოქალაქო უფლებები — 27
- სოციალური უფლებები — 83
- ეკონომიკური უფლებები — 13
- სისხლის სამართლის საქმე — 82
- რელიგიური საკითხები — 1
- ბავშვის უფლებები — 31
- გენდერული თანასწორობის საკითხები — 3
- შშმ პირთა უფლებები — 16
- საკანონმდებლო საკითხი — 3
- დისკრიმინაცია — 13
- ჯანმრთელობის უფლება — 1
- ინფორმაციის მიღების უფლება — 6
- გადაადგილების თავისუფლება — 1
- ეკო-მიგრანტთა უფლებები — 1
- წამება და არასათანადო მოპყრობა — 12



კონტაქტი

ცხელი ხაზი – 1481

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.3
მობ.: 591 883538
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის ქ. №9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ლევან მესხორაძე,
ნიკო თათულაშვილი